ფასი ყველგან 10 კაპ.

იუმორისტული გაზეთი

შუამავალი

წელიწადი პირველი.

№ 3 კვირა, 29 ივლისი, 1907 წ. № 3

კარიკატურებიანი, იუმორისტიული, გაზეთი „**შუამავალი**“ გამოდის ყოველ კვირა დღეს. ფასი წლიურათ—5 მან., ნახევარი წლით—3 მან., ერთი თვით—50 კ., ცალკე ნომერი ყველგან 10 კ. ადრესი: თფილისი, ამხანაგობა „შრომის“ სტამბა. Тифлисъ, Типографія Т-ва „Трудъ“ для „Шуамавали“.

ფასი განცხადებისა პირველ გვერდზე პეტიტით 30 კაპ., უკანასკვნელ გვერდზე 20 კაპ. რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება სამშაბათს, პარასკევს და შაბათს დილის 10 საათიდან 12 საათ. და საღამოს 5 საათიდან 7-მდე. ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ინახავს. წერილები გარკვევით და ერთ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი.

F 3762
9477
1910

როცა უნდომნი ბუნტობენ მათრახი და მათი ჯანი...

გაფიცვა.

„ოდეს ტურფა გაიფდეს
არღა ღირდეს არცა ჩირად“
(გაფიცვა და ბოიკოტი
დღეს შეგხვდება ძლიერ ხშირათ)
მაგრამ იმას, მე რომ გეტყვით
ჯერ არ უჩანს არსად ცალი,
და კი უნდა მომისმინოთ
თუა სადმე სამართალი.

—

ანდრეევის ქუჩის ბოლოს,
ლიდუბეში, დეპოს ახლო,
არის თურმე აგებული
ავათმყოფთა სამოსახლო.
გარე მხრიდან რომ შეხედავთ
როგორ არის აგებული,
უეჭველათ მოიწონებთ
გაიხარებს თქვენი გული.
მართლაც დღემდე იშვიათად
გაგონილა მისი ძვირი,
რადგან ბევრმა არ იცოდა
შინაგანი გასაჭირი.
სასახლეა ჩინებული
განიერი და მაღალი,
მშვენიერი ოთახებით,
ბაღიც ახლავს კარგი ძალი.
ზოგან მამაკაცნი წვანან
ზოგან ბავშვნი, ზოგან ქალი,
ზოგს ფეხი აქვს მოწყვეტილი
ზოგს ყბა სტკივა, ზოგსა თვალი.
გარეშე კაცს ეს სურათი
გააოცებს არა მცირეთ,
მაგრამ ეს ალბილ გასგებთ
ცოტა სანს [illegible]

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის გზა რომ ხაფანგია
ადამიანთ გასაჭყლეტი,
ფაქტები თვით მოგხსენდებათ
საჭიროზე გადამეტი.
და ვინც ავათ გახდებოდა,
ბაქოდან თვით ბათუმამდე
ფოთის შტოზე, ბორჯომისკენ
ტყიბულში თუ ყარსის გზაზე,
თითქმის ყველა აქ მოყავდათ
ამ სასახლის ფართე ბჭეში
და უფასოთ აწვალებდენ.
(ასეთია მათი წესი!)
ამ ბოლო დროს ჯანაოზებს
მოეწყინათ მუშაობა,
და სასახლეს მაშინათვე
შეამჩნიეს უთავობა.
ვერ უხვევდენ რიგზე წყლულებს,
დროზე არცა გასინჯავდენ
და საქმეს თუ მოიგონებ
არც ითქმება თუ რას ჭამდენ.
რაღაც წუმპეს მიართმევდენ
შიგ ცურავდა მყრალი მძორი,
უკაცრავათ პასუხია
პირს არ დაჰყოფს არცა ღორი
მოპყრობა და სამსახური
არც ნახულა ამის გვარი,
ზრდილობით და სათნოებით
პოლიციის მისადარი.

ერთ მშვენიერ მზიან დილას
უნდომებმა შეჰკრეს პირი:
მოქმედებით გამოხატეს
თვისი დიდი გასაჭირი.
არ მიიღეს წუმპე ბორშჩი,
გაიქნიეს გადაღვარეს,
„შიმშილობით“ გაიფიცენ
კბილი არას მიაკარეს.
მოითხოვეს, რომ მიეცეს
მათ სატანჯველს დასასრული
და მოისპოს ექიმბაშთა
უქმობა წრეს გადასული.
დატრიალდენ ჯანაოზნი
ამა „ბუნტის“ ჩასაცხრობათ,
იალაკსა ჩვარი გაჰკრეს
ბორშჩეულის გასაშრობათ.
„ოდეს ტურფა გაიაფდეს
არღა ღირდეს არცა ჩირად“
გაფიცვა და ბოიკოტი
მართლაც მესმის ძლიერ ხშირათ,
მაგრამ ჯერე არ მსმენია
ამის მსგავსი არაფერი,
ავათმყოფთა „შიმშილობა“
გაზეთშია ჩასაწერი.

ეშმაკი.

როგორ ჩნდება „ქარიშხალი“.

—

პატარა ელენე და ლევანი ბაღში დასეირნობდენ. მოღრუბლული დღე იდგა. უცებ ქარი ამოიჭრა და ბავშვებს მტვერი მიაყარა.

— ნეტავ საიდან ჩნდება ეს საძაგელი ქარი? შეეკითხა ელენე თავის ძმას.

ლევანს ჯერ „ბუნების-კარი“ არ შეესწავლა, ამიტომ მეცნიერებაზე ცოტა სუსტათ იყო და ქარის გაჩენაც ძველებურათ ესმოდა.

— ქარი დაიკო ასე ჩნდება: ერთ ორმოში თურმე ზის ერთი უკბილო და ბოროტი დედაბერი. როცა ეს დედაბერი ახდის ორმოს სახურავს და დაუბერავს, მაშინვე ქარი ამოვარდება, ხოლო როცა დახურავს, ქარიც ჩადგებაო.

— რამდენი მტვერი და ნაგავი ექნება პირში იმ დედაბერს, რომელიც ასეთ ბინძურ ქარიშხალს აჩენსო, გაიკვირვა პატარა ელენემ.

— ყოველ შემთხვევაში იმ დედაბრებზე მეტი არა, რომლებიც ჟურნალ **„ქარიშხალს“** აკეთებენო, მიუგო ლევანმა.

როგორი პასუხია?

ე.

თფილისში.

—

ჩვენს ქალაქში არ ეტევა
გამომცემელ-რედაქტორი,
თუმცა შორე ციმბირშიაც
იგზავნება დღეში ორი.
სტამბები რომ არ გაჩხრიკონ
არ გაივლის ისე სწორი;
მალე-მალე გვინახულებს
ჟანდარმი და ინსპექტორი.
გაზეთებში იბეჭდება
სიაბდლე და ბევრი ჭორი,
ისე მტრობენ მართალ სიტყვას
ვით თაგვს—კატა, წიწილს—ქორი.
არტისტები დაგვიგლახდენ
დადის საწყლათ ერთი-ორი,
წარმოდგენებს ვინ გამართავს
გაგვიმრავლდა პროჟექტორი.
დღეს ეს მცირე დავიჯეროთ
მალე მოვა დღეისწორი..
მაშინ უფრო ვრცლად გიამბობთ
თუ არ გაწყრა რედაქტორი.

გურიანთელი.

ახალი ამბები.

—

დ. **ხონიდან გვწერენ:** „დღეიდან ყოველ კვირა საღამოობით ხონის ბაღში გაიმართება სეირნობა—სირბილი. მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი მცხოვრებნი (მოსულებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, მხოლოდ იმ პირობით, რომ უნდა ირბინონ). სირბილის დროს მოწაფეების ძლიერი რაზმი „პაგრომს“ მოახდენს.

იქიდანვე გვწერენ: კვირას 5 აგვისტოს ხონის ადგილობრივ ეკკლესიის გალავანში გაიმართება ცნობილ ფალავანების ჭიდაობა. მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი მღვდლები. გალავანში შესვლა აკრძალულია, ხოლო გარედან ჭვრეტა ყველას შეუძლია.

— ცნობილმა ფსიხოპატმა აკობიამ კვლავ დასტამბა ერთი სისულელე: „სოციალ დემოკრატიამ მოატყუა გლეხები“. ამით აკობიას განზრახვა აქვს, მკითხველები მოატყუოს.

— როგორც გურიიდან გვატყობინებენ, იქ ერთ სოფელში დაუტუსაღებიათ 50 თავგი სამკითხველოში კრებების გამართვისთვის.

ბათუმიდან შემდეგს გვატყობინებენ: ბათუმის ქართველი მკითხველი საზოგადოების ნაწილი, (გარდა მუშებისა) მაგ. ვაჭრები, მეღვინეები, მიკიტნები, მეთივეები, მეეტლეები, მეშეშეები-მეფიცრეები, მეხილეები, მებაღეები, მეჩექმე-მეწაღეები, თერძები მექუდეები, მეყასბეები და სხვ. და სხვა და სხვა აპირებენ ამ დღეებში გაფიცვის გამოცხადებას, რომელიც იქნება მიმართული ქართულ ჟურნალ-გაზეთების და წიგნების წინააღმდეგ, ე. ი. მათ გადაწყვეტილი აქვთ, ჩვენ მწერლობას სასტიკათ ებრძოლონ. არც გამოიწერონ და არც იყიდონ და წაიკითხონ. ამბობენ, ჩვენ ერთობამ დაგვაქციაო და ქართულ გაზეთებში მაინც არ ანებებენ თავს ერთობაზე წერასო. აგრეთვე მათი მოთხოვნილების ერთი მუხლი ასე ამბობს: „ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეხლანდელი ჟურნალ-გაზეთები სულ მოისპოს და მის ნაცვლად გამოიცეს მხოლოდ ერთი გაზეთი, რომელშიდაც იქნება დაცული ძველი რეჟიმის ინტერესები და რომელიც ეცდება დაუბრუნოს ხალხს ძველი ბატონ-ყმური უფლებები.

ს ი მ ღ ე რ ა.

„ჩემს ქმარს კი დაუდგეს თვალი“
იძახოდა ერთი ქალი.
„ვეხვეწე და ვერ მიყიდა
„შუამავალი“ ერთი ცალი“.

—

რედ. შენიშ.: მართლაც ახი არის ქმარზე
ვითომ რისთვის შედგა ვარზე!
უზალთუნის გადაგდება
შიმშილს არ მაუყვანს კარზე.

შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

—

დ. სამტრედია. სწორედ ახირებული დაბაა ჩვენი სამტრედია! ხშირათ ისეთი ამბები ხდება აქ, რომ გასაოცარია. წარმოიდგინეთ იმდენათ გაზარმაცდა გლეხკაცობა, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ ასამდე კაცი სატუსაღოში გადასახლდა, აქაო და ყანის მუშაობას და სიცხეში ყოფნას ციხეში ჯდომა ჯობიაო. „საკვირველ არიან გლეხნო სამტრედიისანო საქმენი თქვენი!“ ამ გარემოების წყალობით ადგილობრივი ადმინისტრაციაც შესდგომია გლეხების ძებნას ყანებში, მაგრამ ვერსად ვერავინ ვერ უნახავს. ბოლოს გაუჩხრეკიათ ნაკაშიძის ველი და ოცდა ხუთამდე ოთხფეხი პირუტყვი დაუტუსაღებიათ.

ბარაქალა.

—

დ. ხონი. ხონელმა, რომ ხონური ხრიკი არ ქნას და რაღაც გასაოცარი რამ არ მოიგონოს ყოვლად შეუძლებელია. ეს სრული ჭეშმარიტებაა. ასეც მოიქცენ აქაური ვაჭრები. ქალიშვილები რომ შინ არ დამჟავებულიყვენ ისეთი საშუალება მოიგონეს, რომ სტუდენტებს აბამენ თოკებს. გადასწყვიტეს ქალიშვილები უსათუოთ სტუდენტებს მიათხოვონ. მზითვათ, ხორაგის გარდა, 4000—7000 მან. აძლევენ (აბა ვინ პირშავი სტუდენტი გაუძლებს ამას?) ეს გადაწყვეტილება უკვე გატარდა ცხოვრებაში... ორი სტუდენტი „გაბედნიერდა“... ვურჩევთ ხელმოკლე სტუდენტებს გამოეშურონ ხონისაკენ. მაჭანკლობას ერთი მჭევრმეტყველი დიპლომიანი ეწევა, სასყიდლათ 10%-ს იღებს, მარა საქმეს უეჭველათ აკეთებს. მრსს ადრესს ხონში გაიგებს.

№ 1.

—

სოფ. ხუნევი.

ჩვენი სკოლის „აპეკუნი“
ჩიმაკაძე „სმოტრიტელი“
ვებრძვით, გვებრძვის, გვებრძვის ვებრძვით
არ გავიდა არაფელი.
ვიშორებთ და არ გვშორდება
ჩვენ არ გვინდა, მას უნდივართ,
ერთმანეთის მომდურავი
დღეს-ც ეგრე ერთად ვზივართ.
არკი ვიცით თუ რადრომდის
გაგრძელდება ეს „ერთობა“.
ჩიმაკაძე რომ არ ყავდეს,
ხუნევი თუ მოესწრობა!

ხუნევი.

—

სურამი. განა ღმერთს სად დაელევა
ბნედიანი და აბდალი...
ერთი „პარკი“ გაგვაჩნია
მუდამ დღეა შიგ სკანდალი.
ექვსი სული მეფანდურე,
იუნკრების ტლინკაობა,
ლოტო, კარტი, მუშტი-კრივი,
აი ჩვენი დროს გართობა.
სამკითხველოს ვერსად ნახავთ,
რაგინდ ბევრი იფაფხუროთ,
მაგრამ ცოდვათ ჩაგვეთვლება
სიბინძურეს დავემდუროთ.

—

მიხაილოვი. რაღაცა შემთხვევით დეპოს უფროსი დღეს არ დამთვრალა და მუშები ძლიერ გაკვირვებული არიან.

—

ლანჩხუთი. ჩვენი ბოქაული დალაქათ დადგა. კრეჭა წინეთაც კარგი იცოდა, მაგრამ ახლა მოლოდინს გადააჭარბა.

—

ჭიათურა. ჭიათურის ნამესტნიკი ბ-ნი კედია მესამე დუმაში აპირებს წასვლას. ჭიათურლები დიდი სიამოვნებით მისცემდენ ხმას მისი თავიდან მოშორება რომ შეიძლებოდეს.

—

ზუგდიდი. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ შენიშნა, რომ ერთი ადგილობრივი ახალგაზრდა ყმაწვილი მუდამ თავ ჩაღუნული დადიოდა. საიდუმლო დაზვერით გამოირკვა, რომ ახალგაზრდა ფიქრობდა და რადგანაც ფიქრი სამხედრო წესების მოხსნამდე აკრძალულია, ყმაწვილიც დაიჭირეს. რომელ გუბერნიაში, ან რამდენი წლით გადაასახლებენ ჯერ არავინ იცის.

—

ქუთაისი. ქუთაისის ადმინისტრაცია 500 მანეთს პირდება იმას, ვინც იმ პარიკს აღმოაჩენს, რომელითაც ზაქარია გურული გაიპარა ციხიდან.

—

ასკანა. მამა სარ. ჯინჭარაშვილის თაოსნობით დაარსებული **„ბრძენთა კავშირი“** სახელმწიფო დუმაში თავის კანდიდატებს დაასახელებდა, კავშირი რომ ბრძენთა უყოლობისა გამო არ დაშლილიყო.

—

ბასილეთი. როცა ასკანაში „ბრძენთა კავშირი“ არსდებოდა, ბასილეთმა „თავადაზნაურ მღვდელ-მონაზონთა კავშირის“ დაარსება განიზრახა. მეთაურები: გერ. მეგრელიძე, ევტ. გოგიბერიძე და ოტსტავნოი სალდათი გიორგი ჯაში, დღესაც მეთაურები არიან, მაგრამ პარტიამ დაბადებამდევე თქვენი ჭირი წაიღო.

—

ჩიბათი. „ქყონიების რაზმს“, როგორც ამ ბოლო დროს გამოირკვა, გადაუწყვეტია: თითო ძირი გვიმბრა, მათ მამულში მოჭრილი, წიფლის ან წაბლის ხეთ უანგარიშონ გლეხებს. საზოგადოთ რაზმი მშვენიერს მდგომარეობაშია. ამბობენ მალე ყველას სტრაჟნიკის ჩინში აღამაღლებენო.

—

ბაკურიანი.

„თავზე წვიმა—ფეხზე ფუნა“
აი ბედმა რა გვარგუნა.
კიდევ კარგი, რომ ბუნებამ
უკუღმა არ შეაბრუნა.
მუდამ ნისლი და ტალახი
გაიყინა, დალპა ხალხი,
პატრონი რომ გვივარგოდეს
სწორეთ კი ვართ გასაღახი.
ჯერ არ გაღირსებენ არცეთს
აღარც ჟურნალს, არცა გაზეთს,
და თუ სადმე გაეკარი,
სამ წილ ფასსაც გამოგართმევს.
„თავზე წვიმა—ფეხზე ფუნა“
განგებამ ჩვენ ეს გვარგუნა,
და მადლი ღმერთს, მადლი უფალს!
უკუღმა არ შეაბრუნა.

მ.

—

პატარა ცემი.

პატარა ცემელ „შრომისს“
დიდი სცოდნია ჭორები.
არ მოასვენა, არ იქნა
ახალციხელი ჯორები.
არ ვიცით აზრათ რა ჰქონდა,
რათ შეირცხვინა პირიო,
გაზეთი მოგვიტყუილა
და ამას უფრო ვსტირიო.

გამვლელი.

—

ს. აცანა. როგორც მკითხველებმა იციან ამას წინათ ს. აცანაში ბოქაულ მიქიაშვილს თავს დაესხენ და ერთი დარაჯი მოკლეს. მაზრის უფროსის ბრძანებით მორეკეს ოთხი სოფლის ქალები და უბრძანეს იტირეთ მიცვალებულიო, ბრძანება აასრულეს (მაშ რა უნდა ექნათ?) და შეიქნა კივილ-ჩხივილი და თავში ცემა. ყველა ქალებში ერთი ხნიერი დედაკაცი ერჩეოდა. ის იწყებდა ტირილს და სხვები ბანს აძლევდენ. დედაკაცი ასე მოსთქვამდა:

„ძმაო რუსო, ძმაო რუსო!
რათ გიტირო, რომ არ მსურსო!“

უფროსმა იკითხა კარგათ თუ სტირიანო. „კარგათ სტირიან, მაგრამ სახელი არ იციან და რუსს ეძახიანო“ იყო პასუხი. უფროსმა აუხსნა, რომ ჩვენ ყველანი რუსები ვართ, ხოლო მაგას ივან-ანტონიჩს ეძახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჰ! უჰ! ცხელ ცხელი ნომრები! აბა! ქუჩაში ჩქარა!

დენო. ახალი ბრძანება ფიცხლავ გადასცეს დედაკაცებს. ხნიერმა დედაკაცმა ახლა ასე დაიწყო მოთქმა:

„ძმაო ივან ანტონიჩო
რა გაუძლებს ამდენ ჭირსო“,

დანარჩენი ქალები გუგუნით ბანს აძლევდენ. ყველა კმაყოფილი დარჩა ასეთი ტირილით.

კიდევ ტარტაროზი.

ერთი კაცი.

—

ერთი კაცი, წითელ წვერა,
ქუჩის ყურას გაიძვერა,
დადიოდა აქეთ-იქით
ვერ ამჩნევდენ მისი ფიქრით.
ხან ვაგონთან მიდიოდა
თითქო სადმე მიდიოდა...
ხან გაზეთსაც ყიდულობდა
თითქო რასმე კითხულობდა.
აზრები რომ მოეკრიფა
ხელი გულზე დაეკრიფა...
არ რჩებოდა მიმავალი
მას არ გადაევლო თვალი.
ზოგის ბარგსა შეუჭვრეტავს,
ზოგს გაზეთში ჩაუხედავს...
და ზოგს პირზე აცქერდება
სულელივით გაჩერდება.
ზოგჯერ შავ-ბლუზიან ბიჭებს
შორიდან ხელს მიუთითებს.
ზოგჯერ სადღაც გაფრინდება
თუმცა მალე დაბრუნდება.
არც პატარებს, არცა დიდებს,
თვალს არავის მოარიდებს.
სულ ერთია ქალი, კაცი,
ჭაბუკი და ბერიკაცი.
აი, ვიღაც დაიხელა...
აედევნა როგორც მელა!
შორი ახლო უტრიალებს
არ აშორებს ოდნავ თვალებს.
აი, გადაუხვევს მგზავრი...
უკან მისდევს საზიზღარი ..
ურცხვი არის იმისთანა,
რომ მიჰყვება ბინასთანა.
აღებს მგზავრი ეზოს კარებს
და ოთახს თავს შეაფარებს.
წვერ-წითელა ეზოს ზვერავს
ბინის ნომერს ჩაიწერავს
ბოლოს, შრომით მოქანცული,
თანაც სახე მხიარული,
დაბრუნდება ქუჩის ყურათ
და წანწალებს ძველებურათ.

II

შვალამეა. ცნობილ ბინას
ბნელი ბურავს. ყველას ძინავს.
უცებ ირეკება ზარი
და შემოდის მთელი ჯარი.
როგორც კაცებს, ისე ქალებს,
ყველას შიშით აკანკალებს,
პოლიცია ბინებს ჩხრეკავს
ქათამივით გადაქექავს.
ვერ იპოვეს ვერაფერი,
ველარც მგზავრი დასაჭერი;
და დაბრუნდენ უმადურნი
ჩამოეშოთ დაბლა ყურნი.

III

სადაც გუშინ ედგა მახე,
წვერ წითელა დღესაც ვნახე..
კვალად მგზავრებს გადაჰყურებს
და მით ცოლშვილს დაიპურებს.

მა.

„ანტიქრისტე“

—

ჩვენი მკითხველი საზოგადოთ სახუმარო, გასართობ საკითხავზე გვყავს დაჩვეული და აი რუსული გაზეთიდან ამოვიღე ერთი ფრიად გასართობი ამბავი, იმის შესახებ თუ როგორ მოჰკლეს „ანტიქრისტე“. ამბავი ესე რუსეთში მოხდა, სოფელ სისოევში, სადაც ცხოვრობდა ვინმე გლეხი მიხაილ ტიხონისძე კოლჩევსკი. აღნიშნულ მიხაილს მთელი სოფელი დიდი ხანია „ღვთის კაცად“ იცნობდა. სოფლელები ყველაფერს უჯეროდენ კოლჩევსკის და ამასთანავე დიდ ცოდნის პატრონ და განათლებულ კაცათაც სთვლიდენ. „მიხაილ ტროფიმიჩი ამ ქვეყნიური არ არისო“ ამბობდენ მორწმუნე გლეხები და თუ ვისმე რამე გაუჭირდებოდა, მასთან გარბოდენ რჩევა დარიგებისათვის.

მიმდინარე წლის 16 ივლისს, მიხაილ კოლჩევსკიმ დაიბარა სოფ. სისოევის მცხოვრებნი და გამოუცხადა მათ, რომ მან საკვირველი სიზმარი ნახა. „მე ვილაპარაკე ღმერთ-ანო“ არწმუნებდა ხალხს „ღვთის კაცი“ და ღმერთი შემპირდა: წინასწარმეტყველათ გაქცევ თუ შენ, კოლჩევსკი, ანტექრისტეს მოჰკლავ შენი ხელითაო.

— იცით რატომ არის ჩვენ ქვეყანაზე მუდამ შავი დღე და უბედურობა? იცით რისთვის არის მუდამ მოუსავლობა და შიმშილობა, მუდამ ცეცხლი და განადგურება? იცით რატომ ვართ ჩვენ უბედურნი? ეს იმიტომ, გაცხარებით ამბობდა კოლჩევსკი, რომ ჩვენ სოფელში, ჩვენ შორის ცხოვრობს ანტიქრისტე. აი სად არის წყარო ყოველგვარი ბოროტებისა და უბედურობისა. ის, ის ანტიქრისტე უნდა მოვკლათ, მაშინ მე გარდავიქმნები წინასწარმეტყველათ და მოგივლენ თქვენ ზეციურ მანანას; მაშინ მოედება ბოლო ყოველგვარ უბედურობას და იცხოვრებთ ბედნიერათ.

ამის შემდეგ „წინასწარმეტყველმა“ აუხსნა ხალხს, რომ ანტიქრისტე განხორციელდა ერთი სოფლელი ბავშვის სახით და თუ დღეს საღამოს რვა საათზე ჩვენ იმას მოვკლავთ, მაშინ მე კოლჩევსკი დავჯდები სახლის სახურავზე, ჩემზე გადმოვანათელი, გავბრწყინდებ-გავსპეტაკდები როგორც მზე, როგორც თოვლი და ავმაღლდები ზეცადო.

ამ დღიდან სოფ. სისოევის გლეხებს

სულ სხვაგვარი ბედნიერი ცხოვრება დაგეწყებათო...

კოლჩევსკის ძლიერ ენდობოდა მთელი სოფელი და მისმა სიტყვებმა შესაფერი გავლენა იქონია ბნელ ხალხზე. ხალხი აღელდა, სისხლი მოსწყურდა...

— დაგვისახელე ბავშვი და ჩვენ გადმოგცემთ იმასო, დ იგრიალა გონება დაბნელებულმა ბრბომ.

კოლჩევსკიმ წაიყვანა 30 გლეხი და მიადგა გლეხ ემელიანე გრობაჩევის ქოხს.

გრობაჩოვს ყავდა ერთად ერთი ორი წლის ვაჟი მიშა, სრულიად ნორმალური და ცოცხალი ბავშვი.

ანიშნა რა ბავშვზე კოლჩევსკიმ დინჯათ წარმოსთქვა:

— ყრმა ესე არს ანტიქრისტე...

შემდეგ ჩამოართვა მამას ბავშვი, რადგანაც მამა დასთანხმდა შვილის მსხვერპლათ შეწირვაზე, მოუწოდა ბავშვის დედას, მარია გრობაჩევსკისას და მოსთხოვა ეჩვენებია ის ადგილი, სადაც ბავშვი დაიბადა.

დამწუხრებულმა დედამ შეასრულა სასოეველი „წინასწარმეტყველის“ სურვილი და უჩვენა ადგილი.

„წინასწარმეტყველმა“ დააწვინა ბავშვი აღნიშნულ ადგილას პირქვე და შესდგა ზედ ფეხებით.

15 წუთის ტანჯვის შემდეგ „ანტიქრისტე“ ცოცხალი აღარ იყო! პატარა მიშა დაახრჩვეს.

მაგრამ „ღვთისნიერი“ კოლჩევსკი არ დააკმაყოფილა არც ამ სიმხეცემ. მან ოცჯერ კიდევ დაჰკრა თავში დამხრჩვალ ბავშვს მძიმე ჩაქუჩი.

შემდეგ უბრძანა ბავშვის გვამი შუაზე გაეხლიჩათ.

როდესაც ეს სურვილიც დაუკმაყოფილეს სასოეველმა მხეცებმა, კოლჩევსკიმ აიღო ცული და თითოეული ნახევარი პატარა მიშასი კიდევ ოთხ-ოთხ ნაწილათ დაკეპა. თან რაღაცას გაუგებრათ ლოცულობდა.

ყოველივე ამის შემდეგ „წმინდანმა“ მოაგროვა ბავშვის ნაჭრები, ჩაჰყარა „ჟურჭელში“, ეს უკანასკნელი მოაბა ცხენს კუდზე, თითონ „წინასწარმეტყველი“ ცხენზე შებრძანდა და ხალხის თანხლებით, ანთებული სანთლებითა, ნიკოლოზ სასწაულთ მოქმედის ხატით, და საეკლესიო გალობით გაემართენ სასაფლაოსაკენ „ანტიქრისტეს“ დასაკრძალავათ.

ყველა ეს სიმხეცე, ეს ველური ბარბაროსობა თითქმის გათენებამდე გაგრძელდა.

წმინდანმა უბრძანა გლეხებს წასულიყვენ დასაძინებლათ და საღამოს რვა საათზე დაბრუნებულიყვენ მასთან სასწაულის სანახავათ, თუ როგორ გაბრწყინდება, როგორ თოვლივით გასპეტაკდება სახურავზე მჯდომარე კოლჩევსკი და როგორ ამაღლდება ის ზეცად.

გლეხებს არ ეძინებოდათ და ან კი რა დააძინებდა ასეთი სასწაულის მოლოდინში. ყველას ზედმეტი მღელვერება და მოუთმენლობა ეტყობოდა. ყველანი გულის ფანცქალით უცდიდენ დანიშნულ დროს.

საღამოს რვა საათიც შესრულდა! ყველანი კოლჩევსკისთან გამოცხადდენ, მაგრამ სალხის სახურავზე არავინ არ აღმოჩნდა. კოლჩევსკის მშვიდათ ეძინა ოთახში, მძიმე შრომით მოქანცულ-მოწყვეტილსა...

ის მაშინვე გააღვიძეს.

— შენ ეი! გვატყუილებ? მრისხანეთ დაიგრიალა ხალხმა.

ნამძინარევმა და გონება აბნეულმა „წინასწარმეტყველმა“ დაიწყო ბუტბუტი, რომ აქ რაღაც შეცდომა მომხდარა;

— საქმე იმაშიაო, ამბობდა კოლჩევსკი, რომ ვიდრე ბავშვს მოვკლავდით მღვდლის ნებართვა უნაა აგვეღო და სხ.

— მაშ რატომ დაგვაღუპე ეგრე უდანაშაულო ბავშვიო, დაიგრიალა ხალხმა და გააფთრებით დაუწყო ცემა წეღანდელ სათაყვანებელსა და „ღვთისნიერ“ ადამიანს.

საქმე უეცველათ მეორე სიმხეცით გათავდებოდა, რომ შემთხვევით ბოქაულს არ გაევლო და ყვირილის ხმაზე გლეხებთან არ მოსულიყო.

სოფლელებმა აუხსნეს ბოქაულს საქმის გარემოება თავიდან ბოლომდე.

„წანასწარმეტყველი“ მაშინვე დაატყვევეს, ხოლო საქმის გამოსაძიებლათ მოიწვიეს პროკურორი.

დააჭირეს ყველა სახლის პატრონი მთელ სოფელში, რიცხვით 32 კაცი, (მათ შორის ერთი ღრმა მოხუცებული 102 წლის) მონაწილე ამ მხეცური ცრუმორწმუნოებისა.

20 ივლისს „წინასწარმეტყველი“ ქ. დუბროვინაში მოიყვანეს გამომძიებელთან. ის 23 წლის ახალგაზდაა, მაგრამ შეხედულობა უფრო ხნიერი კაცისა აქვს. გრძელი ლამაზი თმა, დიდრონი მოუსვენარი თვალები და ინტელიგენტური სახე კოლჩევსკისა, რაღაც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

ნურას უკაცრავათ მკითხველთან თუ ეს ამბავი იმდენათ გასართობი არ გამოდგა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. მაგრამ მიუხედავათ ამისა ის ჩვენთვის უსარგებლო არ იქნება თუ გავიხსენებთ სამეგრელოში გამოჩენილი „წმინდანი“ ილია კირთაძის ოინებს. ჩვენი ხალხი თუმცა უმწვერვალესათ განათლებულია, მაგრამ „წმინდა მიკიტანის“ საწინააღმდეგო არაფერი არა აქვს.

მართალია ილია კირთაძეს ჯერ არაფერი ჩაუდენია ასეთი სმშიშარი, როგორიც სასოეველი „წინასწარმეტყველის“ ნამოქმედარია, მაგრამ ვინ იცის შემდეგში რა იქნება და ამისათვის უმჯობესია კირთაძე ისევ ძველებურ ვაჭრობას დაიწყებდეს. მისი წმინდანობაც ერთგვარი ვაჭრობაა, მიკიტნობაზე უფრო ადვილი და სარგებლიანი, მაგრამ ამას ხიფათიც უფრო ხშირი და საშიშარი ახლავს თან: №

გაზეთების ბედ-იღბალი.

ჭახრაკშია ჩვენი პრესსა
მოუჭირეს, გაილესა,
და თუ ასე შეაწუხეს
სულსაც დალევს ხვალ თუ დღესა.
ვთქვათ დაბეჭდა კარგი რამე,
აღარ სძინავს მთელი ღამე
და არ იცის: როდის მოვა
მოუწვეველ სტუმართ ხროვა.
ვინ დაგიდევს შენს მკითხველებს
სტამბას ხელათ შეგითხელებს,
ხოლო სიტყვა თუ აკადრე
ცემით ზურგსაც შეგიცხელებს.
შრიფტს ტომრებში მოუქცევენ
უჩასტკაში წაათრევენ,
თუ არა გაქვს კარგი ბედი
მეტეხია შენი ხვედრი.
გამოეცი, ვსთქვათ, ახალი...
ვაი შენი ჯიბის ბრალი!!
აღარ გარგებს ყაირათი
დაგედება ქვეყნის ვალი
ამა ყოფის შემხედვარე
განზე გადის მტერ-მოყვარე...
რჩები მარტო გარიყული
უფულო და გულ მწუხარე.
სტამბის აღა ისე შიშობს
სათოფეზე არ მიგიშობს
მევალე კი!!! ოჰ, მევალე!!!
გაწამებს და სისხლს გაგიშრობს.
აგენტი კი გასაჭირში
ჩალას გამოგავლებს პირში,
და იმისი „თამასუქი“
უნდა შეინახო სკივრში.
ცდილობთ ისევ ავათ-კარგათ,
არ შეიქნა მუქთა ბარგათ,
მაგრამ ხშირათ არც კი იცით
ახალ გაზეთს რა დაარქვათ.
თუ იყო რამ სავარგისი
ყველა გახდა ბეჭდვის ღირსი,

უკვე იყვნენ ხმარებაში
და გასწირეს თავი თვისი.
თუ კი თქვენ'მი ნამუსია
წაიკითხეთ მათი სია.
და ნახავთ რომ წამებულებს
მთელი გვერდი აუმსია.
ქართულ გაზეთების თვალი,
პირველია მათში „კვალი“
შემდეგ „სხივი“, „განთიადი“
„ელვა“, „ტალღა“ და „გრიგალი“.
მართალი ვსთქვა ყველა ჩვენებს
აბა აქ ვინ მოიხსენებს?
და კავშირი თუ შეგვწამეს
ბატონი არ მოგასვენებს.

ეშმაკი.

მუშათა ცხოვრება.

ბათუმი. ბათუმის სატუმროების, სამიკიტნოების და სარდაფების მოსამსახურეთა გაფიცვა, რომელიც ერთ წელს გაგრძელდა გათავდა. გაფიცულები მოურიგდენ ხაზეინებს შემდეგ პირობებში იმუშაონ: 1) სამუშაო დღე 24 საათი (მუშაობა ძნელი და აუტანელი) 2) აღეკრძალა მოსამსახურეებს ავათ გახთომა, წინაალმდეგ შემთხვევაში ქუჩაში ისტუმრებენ წმინდა ჰაერის ჩასაყლაპავათ. 3) იმ მოსამსახურეს, რომელსაც 15—20 წელიწადი უმუშავნია ნება ეძლევა წელიწადში ერთხელ შინ წავიდეს, გარდა 365 დღისა, 4) ხაზეინებს ნება ეძლევათ 4-5 წლის ბავშვი იმსახუროს 15 წლამდე მუქთათ. 5) მყრალი ნესტიანი და ბინძური ოთახი მოსამსახურეებისათვის. 6) როცა მოსამსახურეს ჭუჭყი შეაწუხებს, ხაზეინს ნება აქვს ვირის აბანოში გაგზავნოს. 7) მოსამსახურეებს ნება არა აქვთ რაიმე კავშირი შეკრან თავიანთ შორის, აკრძალული აქვთ აგრეთვე თავიანთ შორის მოლაპარაკება.

ამ გვარათ ბათუმის ტრაქტირ-რესტორანების მოსამსახურეებმა საბოლოოთ გაიმარჯვეს.

Monsieur.

დეპეშები.

კავკასია

ქუთაისი. „წამწყმიდა წახედულობამ“ თფილისის მიხედვით აქაურმა აზნაურებმაც განიზრახეს სათავად-აზნაურო „გოდოლის“ აგება გიმნაზიისათვის. მშვიდობით სტეპენდიებო!

სოხუმი. ჩვენმა ქალაქის თავმა უკვე მოათავა ზუგდიდიან სოხუმამდე რკინის გზის გაყვანა და ახლა „პროექტი“ წარუდგინა გამგეობას იალბუზზე ფუნიკულერის აყვანის შესახებ. ამ საქმის მოწყობას გურიის მეაბრეშუმეთა ამხანაგობა „შუამავალი“ აპირობს საკუთარი თანხით.

ფოთი. ნიკოლაძეს განუზრახავს ფოთის ბუხტი ან ორპირში და ან კოპიტნარში გადმოიტანოს. ამ მიზნით გაემგზავრა პეტერბურგისაკენ.

ბათუმი. ბათუმის ქალაქის თავს თავის დასაბანი წყალი ვერ ეშოვა და კინალამ დაეჩქარებია ახალი წყლის მილების კეთება.

ოზურგეთი. ჩვენს ქალაქის თავზე აკრძალულია რისამე წერა და ფეხები ვისთვის არის საინტერესო. ოზურგეთში ორგვარი ციხეა. ერთი პატარა, რომელშიაც დაჭერილები სხედან, ხოლო მეორე დიდი, რომელსაც თითონ დამჭერლები ვერ გადასცდებიან.

ბაქო. ყველა ჭები გაჩხრიკეს და მხოლოთ ერთში აღმოაჩინეს დამხრჩვალი ინჟენერის გვამი.

რუსეთი.

სამარა. სამარის გენერალ-გუბერნატორმა, მისდამო რწმუნებული გუბერნიის გასაწმენდათ, განკარგულება გამოსცა ყველა ხოლერით ავადმყოფი სხვა გუბერნიაში გადაასახლოს ადმინისტრატიული წესით.

სიმბირსკი. ადგილობრივმა გენერალ გუბერნატორმა სასტიკათ აუკრძალა ხოლერის ბაცილებს მისდამო რწმუნებულ გუბერნიის საზღვრებში შემოსვლა. წინაალმდეგ შემთხვევაში სასტიკი სასჯელით ემუქრება.

ნიჟეგოროდი. მაკარიევის იარმარკის დასათვალიერებლათ ახლო მომავალში ქ-ნ ხოლერას მოელიან და ვაჭრებს დიდი მზადება აქვთ.

ადესა. გრაფ კონოვნიცინის „რაზმმა“ პანაშვიდი გადაიხადა გენერალ ყარანგოზოვის სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდის შემდეგ გაიმართა საცდელი ვარჯიში პოგრომებისა ებრაელთა უბანში.

კიშინევი. ქრისტიან-სოციალისტი კრუშევანი პარტიის წევრობიდან გამორიცხეს „ჭეშმარიტმა“ ხულიგანებმა, რადგან „ცოტაოდენი“ პარტიის ფული გაეფლანგა.

სევასტოპოლი. სიმონოვის სახლში აფეთქების დროს ბოქაული და უბნის ზედამხედველი კინალამ დაშავდენ.

უცხოეთი.

პარიჟი. განათლებული საფრანგეთის ჯარი შევიდა მარროკოში და 160 კაცი ხიშტებით დახვრიტა. პარიჟში დიდი დღე სასწაულია ამ გამარჯვებისა გამო.

ბერლინი. გერმანიის იმპერატორმა შესანიშნავი რეჩი სთქვა სვინემიუნდეში. „მსოფლიოს საქმეები რიგზეა ჯერჯერობით და დავიშალოთო“.

ბაგა. სამშვიდობო კონფერენციამ მილოცვის ბარათი გაუგზავნა მაროკოში შესეულ ფრანგის ჯართა გენერალს, ხალხთან ლმობიერი მოპყრობისათვის, რაცა

უფალოო შეგვიწყალენ!

160 კაცის დახვრეტაში გამოიხატა.

ლონდონი. ლორდთა პალატამ ძლიერ მოიწონა ინდოეთის რაზმის მოქმედება და რევოლიუციონერთა წინააღმდეგ მიღებული ზომები.

სტამბოლი. სულთანმა ჯარი გაგზავნა სპარსეთში კონსტიტუციის წამოსაღებათ. გზა და გზა ჯარმა მხოლოდ რამოდენიმე სოფელი გაანადგურა.

სეული. კორეიას იმპერატორი დაეკარგა. სად წავიდა, რა დაემართა, ვერ გაუგიათ. ამ გარემოებამ ძლიერ დააღონა იაპონელები.

პეკინი. ჩინეთის ბოგდიხანმა აღთქმა დაუდო თავის ქოჩრიან ქვეშევრდომებს, რომ ათასი წლის განმავლობაში უეჭველათ შემოვიღებ კონსტიტუციას და ახლა თქვენ ემზადეთო. ხალხი ხელმწიფის მორჩილი გამოდგა და მზადება დაიწყო. ერთი გუბერნატორი უკვე მოკლეს ყუმბარით.

უცხო სიტყვების ახსნა.

(იხ. „შუამავალი“ № 1)

თფილისი—ბრძოლის ველი, რომელზედაც პირველათ დამარცხდა მძლეთა-მძლე „დაშნაკციუტუნი“; შანტაჟისტთა საბუდარი.

თეირანი—რევოლიუცია, რომელსაც კბილთა ღრჭენით უყურებენ ევროპის სახელმწიფოები.

თოფი—მთავრობის „კერძო საკუთრება“, რომელიც როგორც „წმინდათა წმინდა“ ხელშეუხებელია, რუსეთის ყველა მოქალაქისგან, გარდა „ჭეშმარიტ რუსთა“.

თუთიეუში—სამრევლო სკოლების მოწაფეები.

თრევა—საპოლიციო ნაწილში მისვლა.

თაფლი გლეხების და მუშების მოსატყუებელი პოლიტიკური წამალი.

თედო—ქართულათ, რომ „გადმოვასადუნოთ“ ნიშნავს „გადმოსასადუნებელ“ ლექსიკონის ავტორს; ან და სამრევლო სკოლების საეპარქიო მეთვალყურის მიერ „დანოსების“ წერას.

თელვა—პოლიციურ ენაზე ნიშნავს მოფერებას.

თეატრი—ქართულ დრამატიულ საზოგადოების სალაყბო საგანი.

თითი—ჯიბგირის სამუშაო იარაღი.

ილიკო—გულის ასარევი წამალი.

ივერია—ილიას ნაშთი... მერე კიდევ ფილიპეს ნაშთი... სამშობლოსთვის თავდადებული გაზეთი.

იარა—პოლიტიკური ჭრილობა.

იანვარი—რუსეთის რევოლიუციის დასაწყისი

იუდა—ჩვენი დროის გმირები.

იმერეთი—ცეცხლითა და მახვილით შემუსვრა.

ირაოდიონ—ხან ეს არის, ხან ის არის, ხან იქ არის, ხან აქ არის.

კაკი—საწამლავი, რომლითაც 1907 წ. მოიწამლა რუსეთის ბიუროკრატია.

კალამი—სამსახურიდან გადამდგარი მწერალი.

კაბა—უთაო ქმრების გასაყვლეფი მანქანა.

კაგშირი მუშებში გავრცელებული საშიშარი ჭირი.

კაკანი—„ისარი“-ს კვერცხებზე დაჯდომა.

კაკა—უცნაური ხილი, რომლითაც რუსეთის ბიუროკრატია ცთილობს კადეტების მოტყუებას.

კალენდარი—ფულის შესაძენი მანქანა.

კამათი—წმინდა ქართულათ ნიშნავს ლანძღვა-გინებას.

კატორღა—ახალშენი, სადაც საზოგადოების საუკეთესო ნაწილი ესახლება.

კვანტი—ანარქისტული ხრიკი.

(შემდეგი იქნება)

ზ ღ ა ბ ა რ ი.

(რუსულიდან გადმოკეთებული)

როდესაც ღმერთმა ადამიანი გააჩინა, მყისვე მბრძანებელი მეფეც დაუნიშნა. ხალხის მართვა გამგეობის გასაადვილებლათ მეფეს ვეზირები მიუჩინა.

გადიოდა თვეები და წლები. მეფე თავისი ვეზირებით განცხრომაში ატარებდენ ცხოვრებას. ხალხი კი მორჩილებით და უდრტვინელათ ასრულებდა უზენაესის ბრძანებას: ,,გამრავლდით ქვეყნათ და ოფლითა თქვენითა მოიპოეთ პური თქვენიო''.

ერთხელ ვეზირებმა მიმართეს მშვენიერ ედემში მოსეირნე ღმერთს და სთხოვეს: ,,უფალო სახიერო! შენ მოგვივლინე ჩვენ მმართველი მეფე, მაგრამ განა შეიძლება ჩვეულებრივი კაცის გულმა გაუძლოს ხალხის ტანჯვას? რომ მეფე იყოს სასტიკი მსაჯული და ხალხის კვნესამ არ მოულბოს გრძნობიარე გული, საჭიროა მას სრულიად ამოვაცალოთ გულიო''.

უფალმა შეიწყნარა ვეზირების თხოვნა: მეფეს გული ამოაცალა და ნაცვლად ქვა ჩაუდო.

გავიდნენ კიდევ დრონი და ვეზირებმა კვალად მიმართეს უფალს.

,,მეუფეო სახიერო! გმადლობთ ჩვენი პირველი თხოვნის დაკმაყოფილებისათვის და გთხოვთ ესეც აგვისრულო: მეფისათვის საჭირო არ არის არც თვალნი ხილვად და არც ყურნი სმენად, რათა არა ისმინოს კვნესა ხალხისა და არა იხილოს გაჭირვება მათი?

ღმერთმა ისმინა ვეზირთა ვედრება და მოუსპო მეფეს გრძნობა სმენისა და მხედველობისა

გადიან წლები. ხალხი მრავლდება. ტანჯვა ემატება და ლამის უღალატოს ღვთის მცნებას: ,,მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო''.

,,ყოვლად მოწყალე შემოქმედო! შენი მეოხებით ვართ ჩვენ ცოცხალნი და ბედნიერნი. შენ მოუსპე მეფეს სამი გრძნობა და როგორღა ძალგვიძს ჩვენ დავემორჩილოთ მის ბრძანებას? მაშ აღასრულე ჩვენი უკანასკნელი თხოვნა და მოუსპე მას მოსაზრების უნარიც''.

ეს თხოვნაც აუსრულა უფალმა ვეზირებს და ამოუღო მეფეს თავიდან მცირედღა დარჩენილი ტვინი.

ამ დღიდან მეფე უხილავი შეიქნა ხალხისათვის. ვეზირები მას მალავდენ და ხალხს არ აჩვენებდენ. ხალხმა რამოდენიმეჯერ მოინდომა მეფის ნახვა და ბოლოს აისრულა დიდი ხნის წადილი, მაგრამ სათნო და ლმობიერი მეფის ნაცვლად მას დაუხვდა გულცივი და სასტიკი ადამიანი, რომელიც არ იცნობდა მას.

ხალხს გამოელვიძა ის მიხვდა ვეზირთა მუხანათობას და მისი მუდმივი მტერი შეიქნა.

ადამი.

„შუამავლის“ ფოსტა

ქუთაისი. ხლესტაკოვს. ხლესტაკოვ კი გაგვიგონია, მარა როგორც გვახსოვს გოგოლის ხლესტაკოვი ნახმარ მარკებს არ აკრავდა წერილებს. დღის შემდეგ თუ რაიმე საყურადღებო წერილი გამოგზავნოთ, ახალი მარკა დააკრიეთ და თავიდან აგვაცილეთ 14 კაპეიკის გადახდა.

ყველა კორესპონდენტებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს და ნუ მოითხოვთ. როცა წერილს გზავნით, აღნიშნეთ ჰონორარს თხოულობთ თუ არა, ან რამდენს. ადრესი აგრე დააწერეთ წერილებს: Типографія „Трудъ“ для „Шуамавали“.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი:

ვიღებ ძველ ოქროს ფულებს მეასედ ფასში, ე. ი. ძველ ოქროს მანეთიანში ვაძლევ ახალ სპილენძის კაპეიკს. ფული რაც მეტი იქნება, მით უკეთესია.

მსურველებმა უნდა მიმართონ სამტრედიაში სადგურის უფროსს.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ!

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲙᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲐ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲓᲐᲞᲐᲢᲐᲠᲐᲕᲓᲐ. ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲮᲣᲠᲡ. ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ ᲘᲡᲔᲗ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲖᲐᲗ ᲕᲐᲠ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲘᲡᲐᲫᲐᲒᲚᲔ ᲩᲐᲕᲘᲓᲘᲜᲝ: ,,ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲢᲝᲠᲝᲑᲐ, ᲯᲐᲨᲣᲨᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ“. ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲛᲐ ᲩᲔᲛ ᲐᲛᲒᲕᲐᲠ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ,,ᲡᲘᲒᲘᲟᲔ“ ᲣᲬᲝᲓᲔᲡ. ᲒᲘᲟᲔᲑᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲛᲔ ᲑᲠᲫᲔᲜᲘ ᲕᲐᲠ. ᲔᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲗ ᲘᲪᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲛᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲛᲘᲪᲜᲝᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲢᲝᲠ-ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲝᲠᲡ. ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲓᲐᲜᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲨᲣᲨᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲔᲬᲧᲝ ᲔᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲔᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲔᲗᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲔ ᲨᲔᲕᲣᲓᲔᲥᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲞᲐᲢᲐᲠ-ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲠᲝᲨᲘᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲕᲐᲪᲜᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲡ ᲡᲪᲔᲛᲔᲜ Ს.-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘ, ᲠᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ? ᲔᲠᲗ ᲯᲒᲣᲤᲡ ᲛᲔᲢᲐᲗ ᲯᲐᲕᲠᲘ ᲡᲭᲘᲠᲡ Ს.-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲛ ᲯᲒᲣᲤᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲓᲔᲜᲘ ᲡᲘᲛᲧᲠᲐᲚᲔ ᲡᲘᲑᲘᲜᲫᲣᲠᲔ ᲒᲐᲓᲛᲝᲓᲘᲡ ᲩᲔᲛᲨᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲢᲠᲣᲑᲐᲨᲘ. ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲐᲕ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲕᲘᲡᲐᲪ Ს.-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘ ᲔᲯᲐᲕᲠᲔᲑᲐ (ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲐᲗ ,,ᲮᲠᲐᲜᲜᲘ ᲝᲢᲓᲔᲚᲔᲜᲜᲘᲔᲡ“ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲗ Ს.-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ) ᲛᲝᲒᲕᲬᲝᲓᲝᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲑᲠᲝᲨᲘᲣᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲔᲪᲜᲝᲑᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ. ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲛᲐᲥ, ᲣᲙᲔᲗᲣ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲢᲝᲠᲣᲚᲛᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲛ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲕᲔᲠ ᲘᲥᲝᲜᲘᲐ Ს.-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲖᲔ, ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲯᲐᲨᲣᲨᲝᲑᲐ ᲕᲘᲙᲘᲡᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲐᲒᲔᲜᲢᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲪᲮᲐᲓᲝ ᲗᲐᲕᲘ. ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲛᲝᲛᲛᲐᲠᲗᲝᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ: ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲐᲛᲓᲔ ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲙᲨᲘ, ᲡᲣᲚᲘᲗ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲗᲐ ᲡᲐᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲗᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲣᲓᲐᲠᲨᲘ, ᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲪᲐᲚᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲘᲚᲘᲙᲝᲡᲗᲐᲜ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲜᲐᲓᲔᲜ ᲡᲘᲛᲧᲠᲐᲚᲔᲡ ᲕᲬᲔᲠ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲩᲔᲛᲐᲗ ᲕᲐᲡᲐᲦᲔᲑ. ᲙᲕᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲕᲐᲬᲕᲓᲘ Ს.-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ'.

ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ ᲞᲐᲕᲚᲔ ᲐᲙᲝᲑᲘᲐ.

ᲡᲞᲔᲠᲛᲐᲢᲘᲜᲘ.

ᲕᲘᲜᲪ ᲡᲘᲑᲔᲠᲔᲛ ᲓᲐᲐᲑᲠᲛᲐᲕᲐ
ᲓᲐᲣᲙᲐᲠᲒᲐ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲩᲘᲜᲘ,
�გᲐᲑᲐᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲨᲘ
ᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲝᲡ „ᲡᲞᲔᲠᲛᲐᲢᲘᲜᲘ“.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲔᲬᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲐ,
ᲕᲘᲡᲐᲪ ᲣᲮᲣᲠᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲢᲕᲘᲜᲘ,
�გᲐᲑᲐᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲨᲘ
ᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲝᲡ ,,ᲡᲞᲔᲠᲛᲐᲢᲘᲜᲘ“.

ᲕᲘᲡᲐᲪ ,,ᲜᲔᲠᲕᲘ“ ᲨᲔᲚᲐᲮᲕᲘᲐ
ᲓᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲡᲓᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲫᲘᲚᲘ,
�გᲐᲑᲐᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲨᲘ
ᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲝᲡ ,,ᲡᲞᲔᲠᲛᲐᲢᲘᲜᲘ“.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲐᲓᲐ ᲓᲐᲰᲙᲐᲠᲒᲕᲘᲐ
ᲗᲐᲜᲐᲪ ᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ ᲚᲮᲘᲜᲘ,
ᲗᲐᲑᲐᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲨᲘ
ᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲝᲡ ,,ᲡᲞᲔᲠᲛᲐᲢᲘᲜᲘ“.

,,ᲡᲞᲔᲠᲛᲐᲢᲘᲜᲘᲡ“ ᲣᲙᲣᲠᲜᲐᲕᲘ
ᲐᲠᲐ ᲠᲐ ᲐᲠᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲭᲘᲠᲘ
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲛᲠᲗᲔᲚᲓᲔᲑᲘ
ᲒᲐᲒᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲯᲘᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ
Ს. ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ“ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ:

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ,,ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲨᲘ“
ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ—ᲛᲘᲰ. ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ.
ᲤᲝᲗᲨᲘ—ᲚᲘ. ᲢᲣᲚᲣᲨᲗᲐᲜ
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐᲨᲘ—Ყ. ᲙᲝᲞᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ.
ᲒᲝᲠᲨᲘ—ᲐᲠᲩᲣᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ
ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐᲨᲘ—ᲕᲚ. ᲛᲝᲡᲔᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ.
ᲛᲘᲰᲐᲘᲚᲝᲕᲨᲘ—ᲔᲒ. ᲨᲐᲠᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ.
ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲨᲘ—Შ. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ.
ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲨᲘ—ᲣᲖᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ
ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲨᲘ—Ნ. ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ.
ᲮᲘᲓᲘᲡᲗᲐᲕᲨᲘ—Ნ. ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ
ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ—Ვ. ᲦᲚᲝᲜᲢᲗᲐᲜ.
ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ— Ა. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲡᲗᲮᲝᲕᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲝᲜ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ.

ᲐᲡᲚᲐᲜ Ს. ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡ

ᲐᲡᲚᲐᲓ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ

ᲘᲦᲔᲑᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲡᲐᲡᲢᲐᲛᲑᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ. ᲘᲥᲕᲔ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲙᲐᲖᲛᲐᲕᲘ (Переплетная) ᲭᲐᲠᲮᲐᲜᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲡᲣᲤᲗᲐᲗ, ᲩᲥᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚ ᲛᲘᲡᲐᲬᲧᲝᲛ ᲤᲐᲡᲔᲑᲨᲘ.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ ᲒᲐᲑᲐᲔᲕᲘᲡ ᲕᲘᲬᲠᲝ ᲥᲣᲩᲐ № 2 ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲪᲘᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲐ

„ᲨᲠᲝᲛᲐ“

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲜ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲜᲔᲑ-ᲠᲗᲕᲐ **ᲑᲔᲭᲓᲝᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ** ᲓᲐ **ᲑᲠᲝᲨᲘᲣᲠᲔᲑᲘ**, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ ᲰᲥᲜᲓᲐ. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲑᲣᲠᲐᲗ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲛᲘᲰᲛᲐᲠᲗᲝᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲐᲘᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲗ. ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲣᲚ ᲤᲐᲡᲔᲑᲨᲘ.